# ბახტრიონი

ფასი 5.000 მ.

რედაქციის მისამართი: პუშკინის პასსაჟი ტელეფ. 8—04.

განცხადების ფასი მორიგებით.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 24 — კვირა 24 დეკემბერი — № 24


## 1923 წ.

1923 წ. წლიწადი მეორე — **„ბახტრიონი"** — 1923 წ. წლიწადი მეორე

### ყოველ-კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

გაზეთში თანამშრომლობას ეწევიან მთელი ძალები **ახალი ქართული კულტურის**

იმ საგანგებო ნომრების გარდა, რომელიც გაზეთ „ბახტრიონმა" შარშან გამოსცა („ვაჟა-ფშაველა", „ნიკო ფიროსმან", „ილია ჭავჭავაძე", „იაკობ ნიკოლაძე", „არტურ ლეისტ") წლის განმავლობაში გამოშვებული იქნება სპეციალური ნომრები:

1. ივანე მაჩაბელი
2. გრიგოლ რობაქიძე
3. გიორგი სააკაძე
4. კანცლერი ლეონიძე
5. ნიკო ნიკოლაძე
6. გრიგოლ ორბელიანი
7. გიორგი მთაწმინდელი
8. ბექა ოპიზარი
9. საბა-სულხ. ორბელიანი
10. სოლომონ დოდაშვილი
11. თეიმურაზ პირველი
12. პლატონ იოსელიანი


რედაქციის მისამართი: თბილისი, პუშკინის პასსაჟი
ტელეფონი: 8—04.
კანტორა ღიაა: დილის 9—3 ს.

რედაქტორი: **გიორგი ლეონიძე.**



1-ლ იანვარს გამოვა

## მეოცნებე ნიამორები

№ 9.

გრიგოლ რობაქიძე—ხორალი მეორე.
პაოლო იაშვილი—„პავლე ინგოროყვას"
ტიციან ტაბიძე—„ნინა მაყაშვილს"
გიორგი ლეონიძე—„სონეტი კანცლერს ლეონიძეს"
შალვა აფხაიძე—„ღამის პეიზაჟი"
რაჟდენ გვეტაძე—„ელამი სარკე"
ვალერიან გაფრინდაშვილი—„ყელსახვევის პოეტიკა"
ტიციან ტაბიძე—„ირონია და ცინიზმი"
სანდრო ცირეკიძე—„მკითხველისათვის"
ვალერიან გაფრინდაშვილი—„ლორიკის ელიზიუმი"

რედაქტორი: ვალერიან გაფრინდაშვილი.

იყიდება ყველა კიოსკებში. ფასი 25 ათას.

რედაქციის მისამართი: ხელოვნების სასახლე, სერგიევის ქ. № 13, ტ. 17—51.

ახალი მწერლობის კავშირის

მორიგი 49 ესთეტიკის საღამო

პაოლო იაშვილი.

თემა: **ბატუალა**

ნეგრული რომანი—რენე მარანის

შესასვლელი ფასი 20 ათასი მანეთი

დასაწყისი საღამოს 7 საათზე

## საქართველოს სახალხო ბანკი

## გამგეობა

თანახმად ბანკის საბჭოს დადგენილებისა 12 დეკემბრის

თარიღით ამით აცხადებს

კლიენტების საყურადღებოთ,

რომ იმ პირთ, ვინც გადახდილ ვალის შემოტანის დრო, შეუძლიათ ვალი გადაიხადონ ქართული ბონებით ამა წლის ოცდა ათ დეკემბრამდე

ამის შემდეგ კი, თანახმად მთავრობის დადგენილება № 61 თარიღით, მათ ვალი გადახდება ოქროს კურსით, რომელიც იყო ვალის გასავალის დღეს.

ეს განკარგულება არ ვრცელდება იმ კლიენტებზე.

რომელიც მიცემული აქვთ ბანკისადმი ვალდებულება ოქროთი ვალის გადახდის შესახებ.

სახალხო ბანკის გამგეობა


## აკაკის ძეგლი.

საქართველოში ასე ჩუმად და უბრალოთ ჯერ არ გაკეთებულა არც ერთი ეროვნული საქმე. აკაკის ძეგლის ამართვას 11 დეკემბერს არ უძღვოდა წინ არავითარი აგიტაცია, პირიქით ამ შემთხვევაში უბრალო და აუცილებელი ცერემონიალიც ძეგლის გახსნისაც არ ყოფილა.

სრულიად მოუმზადებლად ერთ დღეს მოქალაქენი ტფილისში, ოპერის ბაღში გააჩერა აკაკის მონუმენტმა, ქართველებიც კი ვერ სცნობდნენ აკაკის სახეს, რადგან ეს იყო ძალიან მოულოდნელი.

მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის იუბილეს აღსანიშნავათ სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტმა ამ დღეს აღმართა ეს ძეგლი.

Post factnm შეიძლება ეხლა ამ ფაქტის დაფასება. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ქართველი ხალხის მატერიალურ სიღარიბეს ქართველ არტისტებისთვის თვითონ ბუნებამ იზრუნა მიეცა ძეგლის სახე.

ყველაზე უფრო აკაკი იყო ამ შემთხვევაში ბედნიერი.

ვისაც უნახავს აკაკი წერეთელი სიბერეში, ის სამუდამოთ დაიჯერებდა, რომ ამ ღვთიურ ჰურჰელში ბიბლიურ წინასწარმეტყველის თავით და ფაფარით უსათუოდ უნდა ყოფილიყო დიდი ნიჭის მატარებელი სული.

ლიტერატურის ისტორიაში სხვა თავის თანამედროვეთა შემოქმედებასთან კიდეც რომ დაიჩრდილოს აკაკი წერეთელი, მას მაინც ვერავინ წაართმევს პირველობას, როგორც ბიოლოგიურათ გამართლებულის ყოველი მხრივ დამშვენებას ქართული რასსისას.

იაკობ ნიკოლაძე, რომელიც თვითონ ატარებს ქართულ რასსის უკეთილშობილესს პროფილს, და რომელიც შეერთებული იყო აკაკისთან დიდი ხნის მეგობრობით, ალბად დიდხანს სწავლობდა აკაკის სახეს და ამიტომაც არის, რომ ამ ქანდაკებას ეტყობა დიდ ოსტატობასთან ერთად დიდი აღფრთოვანება და შთაგონება.

აკაკი თავის ღია თვალებით იყურება, ისე როგორც ერთხელ ბალმონტმა აღწერა ოსკარ უალდის შეხედვა და შეხვედრა პარიზში. აკაკი იყურება ხალხის ზევით, მაგრამ არა ცისკენ, ასეთია შეხედვა ლომისაც.

დიდი სახლები, რომ არ ჰფარავდნენ წინ ადგილს, მაშინ ის პირდაპირ შეხედავდა თავის საფლავს მთაწმინდაზე.

ამ ძეგლს ორნაირი მნიშვნელობა აქვს: პირველი—ეს არის დამოუკიდებელი შემოქმედება მოქანდაკისა და შეიძლება ითქვას ქართულ მაშტაბით შედევრიც მეორე მხრივ ეს არის დამშვენება ქალაქის. მართლაც სირცხვილია რომ საქართველოს სატახტო ქალაქში, რომელიც საუკუნოებით გადარეცხილია ქართული სისხლით—არ იყოს ქანდაკებანი იმ ქართველების, რომელთაც ადიდეს საქართველო და შეეწირნენ მის უკვდავებას, ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, რომ ყოველ ქუჩაზე იდგნენ ძეგლები თუნდაც უცხოელების, რომელთაც თავიანთი სიცოცხლე შეუწირავსთ კაცობრიობისთვის, მაგრამ ჩვენ გვაქვს უფლება მოვითხოვოთ, რომ უმრავლესობა ამ ძეგლებისა, იყოს ქართველების...

ამ მხრივ შეიძლებოდა ბევრის თქმა, მაგრამ რა აზრი აქვს თქმას.—საჭიროა კეთდებოდეს ეროვნული საქმე ფაქტიურად.

ჩვენ გვგონია, რომ ქალაქის აღმასკომი დააფასებს იაკობ ნიკოლაძის ღვაწლს და პრემიის სახით გაიღებს ისეთ საგრძნობელ თანხას, რომ არტისტმა შესძლოს სხვა ახალი ქანდაკებაც დაიწყოს, ეს იქნებოდა ელემენტარული სამართლიანობა.

მართალია აკაკის ბიუსტი უბრალო ქვისაგან არის, მართალია მას აკლია როდენის ბალზაკის მონუმენტალობა, მაგრამ ეს დამოკიდებულია მოქანდაკის უსახსრობისგან.

საკმაოა იაკობ ნიკოლაძეს მიეცეს საჭირო მატერიალური ეკივალენტი მისი ნიჭის, რომ ვერც ტფილისს შემდეგ კაცი ვერ იცნობს, ისე გამოსცვლის მას შემოქმედება.

საჭიროა, რომ აკაკის ძეგლის გარდა ტფილისს ამშვენებდეს სხვა დიდ ქართველების ძეგლებიც.

ამ შემთხვევაშიც აღსანიშნავია საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტის დაწყება. როგორც ვიცით, იუბილეს დღეს კომიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომიტეტს დაუდგენია იაკობ ნიკოლაძეს შეუკვეთოს ვაჟა-ფშაველას მონუმენტალური ძეგლი.

ჩვენ ვისურვებთ, რომ ეს დადგენილება მალე განორციელებულიყოს და და ტფილისს დაადგეს თავზე ვაჟა-ფშაველას ხელ-მეორეთ გაცოცხლებულთ სული.

ვისურვებთ აგრეთვე მალე ამხდარიყოს ქართველი ერის სამუდამო სურვილი, რომ ხალხის ფულით დაედგას ძეგლი რუსთაველს.

იუბილეს მეორე დღეს ჩვენ კიდევ მიულოცავთ იაკობ ნიკოლაძეს ახალ გამარჯვებას და ქართველ ერს მეტ შეგნებას ეროვნულ მოღვაწეთა დაფასებაში და ამ მხრივ თავის მოვალეობის ასრულებას.

**ვარამ გაგელი.**

## რუსთაველიანა

**პავლე ინგოროყვას მეოთხე მოხსენება შოთა რუსთაველზე:**

### „რუსთაველის გეოგრაფია"

რუსთაველის პოემა წარმოადგენს ცენტრალურ პრობლემას ქართული კულტურის ისტორიის. იგი არის ერთ-ერთი შემთხვევით გადარჩენილი ნაშთი მეტად თავისებური კულტურისა, რომელიც კატასტროფიულად დაიღუპა. მე-XII საუკუნის და მე-XIII საუკუნის დასაწყისის ქართული კულტურა ბევრის მხრით უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს მთელს საშუალ საუკუნეთა მსოფლიოში თავისი საერთო მსოფლმხედველობით, და თავისებური, განუმეორებელი სინტეზით სხვა და სხვა გზით მიმდინარე კულტურული ფაქტორების.

რეალიები ამ კულტურის ასათვისებლად ცოტაა მოღწეული. დიდი ნაწილი ამ ეპოქის ნაწარმოებთა დაიღუპა ძველი ქართული სახელმწიფოებრივობის განადგურებასთან ერთად მე-XIV საუკუნის დამლევის შემდეგ. გასაღები ამ

თავისებური კულტურისა ჩვენ გვაქვს ვეფხის-ტყაოსანში, ამიტომ ვეფხის-ტყაოსნის პრობლემის გაშუქება დიდ ინტერესს შეიცავს, და ეს არა მარტო ქართული ისტორიის თვალსაზრისით.

რუსთაველის შესახები მეცნიერება უკვე ორას წელზე მეტს ითვლის თავის თარიღად, ვახტანგს VI-ის გამოცემის შემდეგ. მიუხედავად ამისა ვეფხის-ტყაოსნის თითქმის ყოველი საკითხი დღემდე [illegible]

რუსთაველის პრობლემის გადაჭრის სახელი უთუოდ ეკუთვნის მწერალსა და მეცნიერს პავლე ინგოროყვას. მისი ცდანი შოთას პოემის შესახებ, წაკითხული ახალი მწერლობის კავშირის სხდომებზე იწყებს ახალ ეპოქას ქართულ ისტორიოგრაფიაში.

წარსულ აკადემიურ წელს ახალ მწერლობის კავშირში პავლე ინგოროყვას მიერ წაკითხულ იქმნა პირველი ციკლი მოხსენებათა რუსთაველზე, რომლითაც საბოლოო გადაჭრილ იქმნა ორი ძირეული საკითხი ვეფხის-ტყაოსნის: ერთად—პოემის ეპოქა; მეორედ—რუსთაველის ვინაობა და ის კულტურული წრე, რომელსაც ეკუთვნოდა პოეტი.

მომდინარე აკადემიურ წელს პავლე ინგოროყვა ჰკითხულობს მეორე ციკლს, რომელიც ეხება შემდეგს პრობლემას ვეფხის-ტყაოსნისა: პოემის ორიგინალობის საკითხს. ამ ციკლში ჯერ მონოგრაფიულად განხილული იქნება პოემის ტექსტის ცალკე რიალიები, რომ შემდეგ წარმოდგენილი იქნება მთლიანი თეორია პოემის ორგინალობის შესახებ.

ეს მეორე ციკლი პავლე ინგოროყვამ გახსნა მოხსენებით, რომელიც წაკითხულ იქმნა ახალი მწერლობის კავშირის სხდომაზე 17 დეკემბერს. საგანი მოხსენებისა იყო: რუსთაველის გეოგრაფია.

პირველის შეხედვით უბრალო კითხვა, პოემის გეოგრაფია, წარმოადგენს, როგორც ეს ნათელი გახდა მოხსენებიდან დიდ მნიშვნელობას ვეფხის-ტყაოსნის პრობლემისათვის. ერთის მხრით იგი იძლევა უკანასკნელ კორექტურას პოემის თარიღისა მეორეს მხრით იგი ამზადებს ნიადაგს პოემის ორგინალობის საკითხის განსახილველად. მაგრამ პოემის გეოგრაფია წარმოადგენს დამოუკიდებელ ინტერესს გარეშე ამ სპეციალური საკითხების. პოემის გეოგრაფია, ანუ რაც იგივეა რუსთაველის გეოგრაფია (მომხსენებელმა დაამტკიცა მათი იგივეობა) იძლევა საშუალებას აღდგენილ იქმნეს მთლიანი სურათი გეოგრაფიულ წარმოდგენათა მსოფლიოზე, რომელიც არსებულა მე-XII საუკუნის საქართველოში.

საკითხის დასმის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი. ვეფხის-ტყაოსნის გეოგრაფიის პრობლემა, როგორათაც ეს ჰქონდა განხილული მომხსენებელს, დღემდე საზოგადოდ არც კი არსებობდა. ყველაფერი რაც დღემდე თქმულა, არ ეხებოდა საგანის არსს, და არ გაშორებია ერთი-ორი გეოგრაფიული ტერმინის ანალიზს. ხოლო ასეთ ცალკე ფაქტებს, გამოთიშულს პოემის გეოგრაფიის საერთო სურათიდან არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ვეფხის-ტყაოსნის ვერც-ერთი პრობლემა ვერ გადასწყდება გეოგრაფიის საკითხისადმი ასეთის ფრაგმენტარულის მიდგომით. ადვილად შესაძლოა რომ ცალკე გეოგრაფიული დეტალი შემთხვევითი აღმოჩნდეს ვეხის-ტყაოსანში, რადგან პოემის ფაბულის კითხვა ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის. ვთქვათ ჩვენ გვინდა გადავსჭრათ პოემის თარიღის საკითხი—მისი გეოგრაფიის მიხედვით. მაგრამ წარმოვიდგინოთ ერთის წუთით, რომ ის დეტალები რომელსაც ჩვენ ვემყარებით, ეკუთვნის არა პოეტს, არამედ ამბავს, თუ კი ამბავი მართლა აღებულია. ან გვინდა განსაზღვროთ თვით ამბის თარიღი, და ვემყარებით ისეთ ფაქტებს, რომელიც შეეძლო შეეტანა პოემაში რუსთაველს ამბის გადამუშავების დროს. ასეთ შემთხვევაში მთელს არგუმენტაციას რასაკვირველია ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება. ცალკე სპორადიული ხაზების მიხედვით, გარეშე პოემის მთლიანი გეოგრაფიული კონცეპციისა, შეუძლებელი არის რაიმე დასკვნის გამოტანა.

მომხსენებელმა განიხილა ვეფხის-ტყაოსნის გეოგრაფია ასეთის მთლიანი ხაზით. ხოლო საკითხის ამნაირმა და სმამ სრულებით ახალი შუქი მოჰფინა პოემას, და პირდაპირ მოულოდნელი შედეგი მოიტანა. პოემის გეოგრაფიის პრეციზულმა ანალიზმა ცხადად-ჰყო, რომ მასში არის მთელი რიგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მომენტებისა, რომელიც იძლევა მრავალ საკითხების გასაღებს. ამას გარდა: ცალკე გეოგრაფიული დეტალები იმდენად ნიშნობლივია განსაზღვრულ ეპოქაში არსებული გეოგრაფიული კონცეპციისათვის, რომ მისი მიხედვით შესაძლო ხდება მეტად საგულისხმო მთლიანი სურათის აღდგენა ანალიზიდან გამოირკვა ისიც, რომ პოემის გეოგრაფია უკანასკნელ ხაზამდე ეკუთვნის გზით ვიწროდ განსაზღვრულ ხანას; ხოლო აქედან გამომდინარეობს მთელი რიგი დასკვნების.

მოხსენება განიყოფებოდა ორ ნაწილად. პირველ ნაწილში წარმოდგენილი იყო რეკონსტრუცია პოეტის გეოგრაფიული კონცეპკიისა მსოფლიოზე პოემაში დაცული რეალიების მიხედვით, და შედარებითი შესწავლით ამავე ეპოქის გეოგრაფიულ მეცნიერებასთან. მოხსენების მეორე ნაწილში წარმოდგენილი იყო ისტორიული ანალიზი ამ გეოგრაფიული კონცეპციის, და აქედან მიღებულ იქმნა საგულისხმო დასკვნები პოემის ეპოქაზე, სიუჟეტის საკითხზე და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხაზები, რომელსაც იძლევა პოემის გეოგრაფიის ერთიანობა და თარიღების შეხვედრა პოემის ორგინალობის შესახებ.

საგაზეთო ანგარიშში ჩვენ მოკლებული ვართ საშუალების უფრო დაწვრილებით შევეხოთ მოხსენების ფაქტიურ მხარეს, რადგან იგი მეტად სპეციალურია გამოთიშვა ცალკე ხაზებ ს მისი არგუმენტაციის და ფაქტების საერთო სურათიდან, ვერ მოგვცემდა წარმოდგენას ამ მწყობრ და მთლიან თეორიულ შენობაზე.

მოხსენება, შეიძლება გადაჭრით ითქვას, წარმოადგენს დიდ მეცნიერულს მიღწევას, და შესრულებულია ასეთივე გონებამახვილობით და სინთეტიური ნიჭით, რომლითაც აღბეჭდილი იყო მისი წინა მოხსენებანი რუსთაველზე. იგი ახალს შუქსა ჰფენს არა მარტო პოემის სპეციალურ საკითხებს, არამედ მისი ეპოქის ბევრ სხვა მომენტებს.

მოხსენების დიდი საზოგადოება დაესწრო. დარბაზი სავსე იყო ინტელიგენტურ აუდიტორიით. მოხსენებამ გასტანა ორ საათს და დიდის ყურადღებით იქმნა მოსმენილი.

მოხსენებას კამათი არ გამოუწვევია

**არიელ ¶.**

# როდენთან

როდენს მადლობა ვუთხარი და სახლში გამოვბრუნდი. ჩემი მეგობარი მოქანდაკე, რომელიც მიცდიდა შორიახლო მოვიდა ჩემთან და მკითხა როდენის ნაუბარი.

მე ატაცებულმა მიუგე: ხვალ როდენმა რვა საათისათვის დამიბარა მედონში და ახალი საქმე უნდა მომცეს მეთქი. მან ჯერ მითხრა: როდენმა ეგრე იცის, თორემ როცა მიხვალ შენი მისვლა გაუკვირდება კიდეცაო მე მეტი აღარ მინდოდა, ისედაც გაკვირვებული ვიყავი ასეთ ბედნიერებით. მაგრამ ჩემი მეგობარი ჩამაცივდა: ხვალე მეც შენთან როდენთან უნდა წამოვიდეო. მაშინვე მიველი სახლში, დავიბარე ფამდე-მენაჟ (მოსამსახურე საათობით) და უთხარი, რომ დილის 6 ს. გაველვიძებინე. თითონ მომზადება დავიწყე; სახელოსნო ინსტრუმენტები შევაგროვე, და ადრეც დავიძინე ბავშივით, მაგრამ ჩემი დაძინება როგორ შეიძლებოდა. დავიწყე ფხიზლობა ლოგინში და ეხლა მე თითონ დავუწყე ყარაულობა ფამდე-მენაჟს.

6 საათზე მან კარი შემოაღო, მომიტანა პური, გაზეთები, დაანთო ცეცხლი თუმცა აპრილის მიწურული იყო.

მე წამოვხტი, საჩქაროდ ჩავიცვი, ვისაუზმე, საქმიანი იერით გამოვვარდი კარში, როგორც ყოველი ფრანგი და გავეშურე იქვე ახლოს, მონპარნასსის სადგურზე. ვიყიდე მედონის ბილეთი, გავარდი პერონზე და საჩქაროდ ჩავჯექი გამზადებულ მატარებელში; დავხურე ფარდები, მივეყუდე და ჩუმად დაუწყე თვალიერება, ის ჩემი მეგობარი ხომ არ მომდევს მეთქი. მე 25 წუთში უკვე მედონში ჩამოვხტი. შიში თან გამომყვა და პერონიდან კარგა ხანს არ გადმოვდიოდი მაგრამ ის იქ არ აღმოჩნდა.

ეს დღე იყო—1 მაისი 1906 წ. ძალიან ციოდა. გორაკიდან უნდა დაეშვა ძირს, უნდა გაიარო უზარმაზარი და მაღალი ვიადუკის ახლოს და აღმართს რო შეუდგებით, იქ შედიხართ პატარა ევროპიული სტილის სოფელში: ,,ვალფლიჲორი''. თანდათან მიდიხარ მაღლა და გადიხარ იმ სოფლიდან. ცოტა ხნის შემდეგ უნდა გადახვიდე პარიზიდან მომავალ ლიანდაგის ხიდზე და მერე შედიხარ მაღლობზე, სადაც დგას როდენის ვილლა, რომელსაც ჰქვიან „ბრიიან“ (რაც ნიშნავს—ბრწყინვალეს.)

რვის ნახევარი იყო. ვილლა ,,ბრიიან''-ს დიდებული გადასახადი აქვს. ხელის გულივით სჩანს მდ. სენა ორ ტოტად გამოყოფილი, ,,მტრედების კუნძულს'' (ილ-დე-პიჟონ) რო უვლის ორივე მხრიდან. ქვეით იქვე ,,ისი ლეჲ-მულინს'' ქვემო მედონი ბელვჲუ-ეს სიურენამდის გადაშლილია საამურათ. აქ არის სევრის ფარფორის ქარხანაც. სამგზავრო გემები და დიდი ბარჟები ზედ დასრიალებენ. ეს ყველაფერი მარჯვნივ—ზემო მედონი და ვილლა გამოჩენილი ქიმიკოსი ბერტლო სის სამყოფია. მის ბაღში ყველა მცენარეს ცდისათვის ფესვებში ელექტრო ჰქონდა გავლებული. შორს მონ-ვალერიანი, ციხე სადაც იჯდა პოლკოვნიკი პიკარი, ყოფ. მინისტრი და დრეიფუსის კეთილი ჰენია. იქვე როდენის თავმინებებული ბაღი-გაყოფილი ორად: ერთი მხრით დაშვებული ფირუზი მინდორი, მეორეთი ბუნებისთვის მიტოვებული ბაღი აუზებით, სადაც დაცურავდენ მედიდური გედები. რვა საათს კიდევ უკლია. ჭიშკართან მისვლა მეშინია. ხელში საათი მიჭირავს. შორიდან ვუცქერი ვილლას ფანჯარებს. ვილლაში სიწყნარეა. დავეშვი ძირს, დავინახე ჭიანჭველების ბუდე და ბუნების სიყვარულით გაშლილი გულით დაუწყე დაკვირვება. უკვე დაჰკრა რვა საათმა და მივადექი კარებს. ჩამოვრეკე ზარი, რომელიც მეტად დიდი იყო და ხმებისა მე თითონ შემეშინდა. გამოვიდა მეჯინიბე და შემიშვა როდენთან უკვე დილის მედარბაზენი იყვენ ბრინჯაოდან ჩამომსხმელი რუდიე, მისი პარიკმახერი ვალფლორიდან—მისი ფიგარო და დიდი მოლაპარაკე და მისი სეკრეტარი—რენე შერვიჲი. როდენი მომესალმა და სეკრეტარს უბრძანა, რო მე წავეყვანე ატელიეში. ატელიეში რო შევედით იქ დაგვხვდა ახალგაზდა ფრანგი მოქანდაკე, რომელიც მუშაობდა იუგოლენის (დანტეს გმირი) ფიგურის გარშემო. სეკრეტარმა რაღაც ჩასჩურჩულა და წარბ შეკრული მოქანდაკე იარაღის გროვებას შეუდგა.

მე თავი ცუდათ ვიგრძენ, ისე როგორც ფრონტზე, გვერდით ამხანაგს რო ტყვია გაჰგმირავს და თავზე დემოკლეს ხამოკიდებული მახვილი ვიგრძენ.

რადგანაც თიხისთვის პარიზში უნდა წავსულიყავი, მე და ფრანგი ერთად გამოველით ატელიედან. როცა ვალფლერში ჩაველით, მან შემიყვანა ,,ბისტრო''-ში (დუქანი) და მისი პატრონი გამაცნო: ხვალიდან მე აღარ ვიქნები თქვენი კლიენტი, ეხლა ეს მუშაობს როდენთან-ო. 12 საათზე იქ საუზმე უნდა გვეჭამა.

—გასაკვირალი ადამიანია მუსჲე როდენ—სთქვა ,,ბისტროს'' პატრონმა. ვერავინ ვერ უდგება. ყველასა სცვლის. მაშინვე მომცა ათი ფრანკის კრედიტი.

იუგოლენზე ვიმუშავე სამი თვე, რითაც როდენი ძალიან კმაყოფილი რჩებოდა და ამბობდა.

—თქვენი ნამუშევარი XI საუკუნეს მაგონებსო ეს მუშაობა იყო—ნაირი ნაოჭებისგან ფიგურების შეერთება—მუშაობა დაწოლით მიხდებოდა, რადგან გრუპპა იატაკზე იდგა.

მუშაობის დროს როდენი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ჩემდამი. პირველ დღეებშივე, რაკი სიცივეები იყო, როდენი შემოვიდა ჩემთან პარიზში გამგზავრების წინ და მითხრა:—თქვენ შეგიძლიანთ ჩემს კაბინეტში მიხვიდეთ ცეცხლი უკვე დავანთებინეო.

როდენი რო წაბძანდა შემოვიდა რენე შერვიჲი და მითხრა: ბ-ნო ნიკოლაძე გასაკვირველია ის ყურადღება, რომელსაც როდენი იჩენს თქვენდამი, ამიტომ მე მინდა ცოტაოდენი რჩევაც მოგცეთ, რომ საქმე არ გაიფუჭოთ. როდენს ლაპარაკი არ უყვარს. თქვენ შეკითხვებს ნუ მისცემთ; მარტო უპასუხეთ მოკლედ და მოჭრით. კითხვებს ნუ მისცემთ, არ დაიგვიანოთ. დღე არ გამოუშვათ. ატელიეში დახურული არ ახადოთ. ნამუშევრებს ნუ მიაბრუნ-მოაბრუნებთ. შკაფებს ნუ გააღებთ და მე კიდევ შეგატყობინებთ, თუ რამე არ მოეწონა თქვენში. სასტიკად აღკრძალულია ატელიეში პაპიროსის წევა. მადამ როდენს პატივით მოეპყარით და თქვენს აზრებსაც ნურავის ნუ ეტყვითო

როდესაც იუგოლენის საქმე გავათავე, მოვიდა როდენის მუდმივი გიობეშვილი ჩამოსასხმელათ. ძალიან მოეწონა და მითხრა: წარმოიდგინეთ, სხვა მოქანდაკე ჩვენთვის არ ფიქრობს და თქვენ კი გიფიქრიათ, რადგან ადვილი ჩამოსასხმელიაო.

ახლა მე დავაინტერესდი, თუ როდენი რას მომცემდა სამუშაოდ. ერთ დილას დამიძახა როდენმა კაბინეთში, გადმომცა წერილი და თანაც დააყოლა წაიღეთ ამ ადრესით პარიზში ეს წერილი, მიხვალთ ბარბჲე-დ-ორევილიჲის პატივმცემელთა საზოგადოებაში და გამოგატანენ მის ნიღაბს და რო მოიტანოთ, შემატყობინეთო. ნიღაბი მოვიტანე იმავე დღეს და შევატყობინე მდივანს. მდივანმა ნახა და მითხრა; მგონი, ეს შენ უნდა გაგაკეთებინოსო; რამოდენი ხანია, ეხვეწებიან, რომ ამისი ბიუსტი გაეკეთებინა და სულ უარზე იდგა ეხლა შენ რო დაგინახა მისთვის დათანხმდაო. თანაც დაყოლა მოსკოვშიც მიმაწერინა წერილი, რომ გაბრიჩევსკის ნიღაბიც გამოგზავნონო. იმათაც უარს ეუბნეოდაო. მეორე დღეს, როდენმა მითხრა—თუ შეიძლება ეს გააკეთეთ როგორც არის, დოკუმენტები ყველა შეინახეთ... მე შევეკითხე სიდიდე ბუნებრივი შევინახო თუ დიდი გავაკეთო? მან შიშით დააყოლა ბუნებრივი სიდიდე არ მინდა, უფრო დიდი იყოს, უფრო დიდი!

მაშინ გამახსენდა მისი აჟ-დე-ერენ და მისგან გამოწვეული დიდი სკანდალი. როდენს აბრალებდენ რო ეს სტატუა ცოცხალ მოდელიდამ ჩამოგისხამსო.

ორმოცდახუთი წლის შემდეგ როდენს კიდევ ეშინოდა ამ სკანდალის...

შემდეგი № 25-ში

**იაკობ ნიკოლაძე.**

*] იხ. ,,ბახტრიონი'' № 22.

# ბატუალა

დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება შესავალი რომანის ,,ბატუალა''. რომანი ეკუთნის ზანგ მწერალს რენე მარანს. ეს რომანი შეიქნა ასე სახელ განთქმული იმით, რომ მან მიიღო წელს გონკურების პრემია. რომანი დაწერილია ფრანგულ ენაზე და ავტორი მისი რენე მარანი ტომით ზანგი პირველად იღებს საფრანგეთში ფრანგ მწერლის სახელს და თან ასეთი დიდი რეკლამით, როგორც გონკურების ლაურეატი. ,,ბატუალა''-ს ავტორი თვითონ არის ადმინისტრაციის მოხელე საფრანგეთის კოლონიაში. და როგორც ეტყობა კარგად იცნობს საფრანგეთის კოლონიალურ პოლიტიკას.

თავის შესავალში რენე მარანი იძლევა გამანადგურებელ კრიტიკას ამ პოლიტიკის ს და ამხელს საფრანგეთის დანაშაულს. მიუხედავათ ასეთი ტონისა, რომელიც არ უყვართ ფრანგებს, რენე მარანი მაინც ღებულობს გონკურების პრემიას, თუმცა როგორც ირკვევა ეხლი წიგნი მას არ გაუგ ავნია საკონკურსოთ, არამედ მის მეგობარს მანუელ მაისტოს.

წინასიტყვაობაში რენე მარანი მიმართავს საფრანგეთის გამოჩენილ პოეტს და რომანისტს ანრი დე რენიეს, რომელსაც ეძახის თავის ლიტერატურულ ნათლიას; ამ რომანის გამარჯვებაც უთუოთ ანრი დე რენიეს მიეწერება, რომელმაც მისცა მისი კეთილგანწყობილი რეცენზია, ეს რეცენზია იყო დაბეჭდილი ჩვენ გაზეთში შემოკლებით. ,,ბახტრიონის'' შემდეგ ნომერში დაიბეჭდება თარგმანი ამ რომანის ზოგიერთ თავების და აგრეთვე რეცენზია იმ მოხსენების რომელსაც კვირას 24 დეკემბერს პოეტი პაოლო იაშვილი კითხულობს ხელოვანთა სასახლეში ახალ მწერლობის მორიგ ესტეტიურ საღამოზე...

## შესავალი

ანრი დე რენჲე, ჟაკ ბულ ნჟეჲ,-თქვენა ხართ ნათლიები ჩემი წიგნის. მე ვიქნებოდი არა კეთილშობილი ადამიანი, რომ რომ ამ წიგნის შესავალში, არ ამეღიარებინა ყოველი ის, რაც გამოწვეულია თქვენი რჩევით და ყურადღებით.

თქვენ იცით, თუ როგორ მინდოდა ამ რომანის გამარჯვება. მართალი რომ ითქვას, ეს შრომა—არის მთელი რიგი ოფორტების.

მაგრამ მე მაზედ დავხარჯე ექვსი წელი. ექვსი წელი დავხარჯე იმის გადმოცემაზედ, რაც მოვისმინე და იმის აღწერაზე, რაცა ვნახე.

ამ ექვსი წლის განმავლობაში მე ერხელაც არ შევცდი, რომ მეთქვა საკუთარი სიტყვა. მე ჩემი აზრი დავიყვანე ძირამდის. აქედან გავდევნე ყოველი მსჯელობა ეკვატორიული აფრიკის ზანგები საერთოდ არა არიან ჩვეულები სჯას.

ამ რიგად ეს რომანი სრულიად ობიექტიურია. მას არა სურს რამე ახსნას ან განმარტოს, სხვანაირადაც არ შეიძლებოდა. მთვარიან ღამეში, როცა მეზლოგეზე წამოწოლილი, ჩემი ვერანდიდან ყურს ვუგდებდი ამ საბრალო ადამიანებს მათი ოხუნჯობა ამტკიცებდა მათს მორჩილებას.

ისინი იტანჯებოდენ, და ტანჯები იწვევდენ მათს სიცილს.

არ ბრჲუელ! მსწავლულ კომპილიაციაში თქვენ განაცხადეთ; რომ უბანგიშარის მოსახლეობა აღწევს 1.350.000 მოსახლეს.

მაგრამ თქვენ არა სთქვით, რომ ერთს მცირე სოფელ უამში, 1918 წ. ითვლებოდა 1.080 მოსახლე, ნაცვლად 10.00, რომელნიც შევიდნენ შვიდი წლის წინად მომხდარ აღწერაში. თქვენ ლაპარაკობდით ამ უზარმაზარი ქვეყანის სიმდიდრეზე მაგრამ რატომ არა სთქვით, რომ იქ შიმშილი მეფობს?

მართალი იყო მონტესკჲე, როდესაც მის ცივს ირონიაში კანკალებს თავდაჭერილი გულისწყრომა: ,,ისინი-შავები არიან თავიდან ფეხებამდე და ცხვირიც მით ისე აქვთ მიჰყლეტილი, რომ თითქმის შეუძლებელია მათი შებრალება" ბოლოსა და ბოლოს, თუ ესენი ათასობით იხოცებიან სიმშილისაგან, როგორც ბუზები, მათი ქვეყანის შემოილუპებიან მხოლოდ ისინი, რომელთაც არ შეუძლიანთ ცივილიზაციასთან შეგუება.

ოჲ ცივილიზაცია, ცივილიზაცია,—ევროპიელების სიამაყე,—აღმართული უდანაშაულო ხალხის ძვლებზე! ინდუსების პოეტმა რაბინდრანათ ტაგორმა სთქვა ერთხელ ტოკიოში, რაც ხარ შენ. შენ აშენებ შენ სამეფოს გვამებზედ. რანაირიც არ იყოს შენი სურვილები და მოქმედებანი, შენ მუდამ სიცრუეში იმყოფები. შენს დანახვაზე მადგება ცრემლი და მინდა დავიყვირო ტკივილისაგან შენ ხარ ძალა, რომელიც ზეიმობ უფლებაზე. შენ—ჩირაღდანი არა ხარ, შენ ხარ—ხანძარი შენ ყოველივეს შთანთქავ, რასაც მიუახლოვდები.

თქვენ, სიამაყენო მხარის, რომელმაც მე მომცა ყველაფერი; ჩემო ძმებო საფრანგეთში, მწერლებო ყველა პარტიების; თქვენ, რომელნიც ხშირად ჩხუბობთ უბრალო რამეზე. და უცბად შერიგდებით ყოველთვის, როცა საჭიროა დაცვა კეთილშობილი და სამართლიანი იდეის,—მე მოგიწოდებთ თქვენ საშველად, რადგანაც მე მწამს თქვენი კეთილშობილება.

ჩემს წიგნში არ არის პოლემიკა იგი გამოჩნდა შემთხვევით, სწორედ საჭირო დროს. ნეგრული საკითხი—თანამედროვე საკითხია. ვის უნდოდა ეს? ამერიკელებს რეინის იქითა მხარის საგაზეთო კომპანიებს; პოლრებუ-ს Romulus Coucou პიერო ბონარდის „Le Yisaqe de la Brousse“-ს საწყალი კომბეტის „L' Isolement“-ს ნუ თუ შენ, "ევა" პატარა ცნობისმოყვარე ქალო, არ ახდენდი ანკეტას მიზნით, რომ გაგეგო, შეიძლება თუ არა, რომ თეთრი გაჰყვეს ნეგრს ცოლათ?

მას აქეთ ჟან რენომ დაბეჭდა „La Revie''-ში წერილი შავების ჯარების შემოღებაზე მას მერე დოკტორჲომ დაწერა Le Mercure de Franse''-ში,,Les-Leffres'' მოგვითხრობენ მათს წამებაზე შეერთებულ შტატებში და, ბოლოს დეპუტატების პალატაში, ერთი შეკითხვის დროს, სამხედრო მინისტრ ანდრე ლეფევრს არ შეეშინდა ეთქვა, რომ ზოგიერთ ფრანგ მოხელეებმა ნება მისცეს თავისთავს დაპყრობილ ელზას—ლორენში მოქცეულიყვენ ისე, თითქოს ისინი ფრანგულ კონგოში იმყოფებოდენ.

ასეთ ადგილას წარმოთქმული ის სიტყვები—დიდმნიშვნელოვანია. ის ადასტურებენ, ერთდროულად, იმ რომ ყველაფერი მომხდარი ამ შორეულ ოლქებში—ცნობილია, და იმასაც, რომ დღემდე არავითარი ცდა არ ყოფილა იქ გამეფებულ ბოროტმოქმედების, ქრთამის სისასტიკის მოსასპობად.

ამგვარად „კარგ კოლონიზატორებად იყვნენ არა კოლონისტები პროფესიით, არამედ ევროპიული ჯარები სანგრებში? ასე ამტკიცებდა დ ი ა ნ,

ჩემო ძმებო სულით, საფრანგეთის მწერლებო, ეს წრფელი სიმართლეა. აი რისთვის დროა გაჩვენოთ თქვენ, ეხლავე, რომ, არავითარი საბაბით, თქვენ არგინდათ, რათა თქვენი თანამემამულენი რყვნიდენ ხალხს, რომელის რეპუტაციას თქვენ იცავთ.

აამაღლეთ თქვენი ხმა. თქვენ უნდა უშველოთ სიმართლის მთქმელებს.

შემდეგში, როცა კოლონებში ავგიის თავლები გაიწმინდება, მე თქვენ აგიწეროთ ზოგიერთ ტიპებს, რომელთა ასახვა, მზადაცა მაქვს ჩემ რვეულებში.

მე თქვენ გეტყვით, რომ ზოგიერთ ოლქებში საცოდავი ნეგრები იძულებული იყვენ თავისი ცოლები გაეყიდა 25 75 ფრანკად.

მე გეტყვით... თქვენ... მაგრამ მაშინ ვილაპარაკებ უკვე ჩემი სახელით და არა სხვისმიერ. მე გაგაცნობთ ჩემს აზრებს და არა სხვისას და მე წინასწარ ვლაპარაკობ, რომ ევროპიელები, რომელთაც მე დავსახავ ისეთი მშიშარები არიან, რომ ვერც ერთი მათგანი, მე დარწმუნებული ვარ ამაში, ვერ გაბედავს ჩემი სიტყვების უარყოფას.

და რომ ყოველივე იცოდეთ, თუ რა ყოველდღიურობის სიმდაბლით იქმნება ფართე ცხოვრება კოლონის, მაშინ იმაზე ძალიან ცოტას, ან სულაც არ ილაპარაკებენ. მას შეაქვს გარყვნილება. ღლითი დღე იშვიათად შეხვდები ადმინისტრაციაში პიროვნებას, რომელიც თავის ჭკუას ანვითარებდეს. ისინი ეჩვევიან ალკოგოლს. ომამდე ბევრი ევროპიელი იყო, რომელსაც ოცდაათ დღეში შეეძლო ხუთმეტ ლიტრაზედ მეტი „პერნო“ დაელია. მას მერე, მე გავიცანი ერთიც, რომელიც თვეში ოცდა ოთხ ბოთლს „ვისკის“ სვამდა.

ამ სირცხვილმა უნდა შეაწუხოს ისინი, ვისაც მინდობილი საფრანგეთის წარმომადგენლობა აქვს. ისინი პასუხს აგებენ იმ ბოროტებაზე, რომლისაგანაც ახლა შავი მატერიკი იტანჯება.